VI-IX სს. ბიზანტიური წყაროების მიხედვით, პეტრა ისტორიული ლაზიკის ციხე-ქალაქი და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი საეპისკოპოსო ცენტრია. იგი გაშენდა იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წწ.) ბრძანებით, ლაზიკის სამხრეთ საზღვარზე შავ ზღვასთან, უმნიშვნელო დასახლების ადგილას, რომელსაც კლდოვანი რელიეფის გამო პეტრას უწოდებდნენ. იმპერატორის პატივსაცემად, ქალაქს იუსტინიანეს სახელი ეწოდა. სტრატეგიული მდებარეობის გამო, პეტრა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა VI საუკუნეში ბიზანტია-ირანს შორის ლაზიკისათვის წარმოებული ომის დროს. იგი ლაზიკის მნიშვნელოვანი საზღვაო-სავაჭრო ცენტრი იყო.

აკროპოლისის ტერიტორიაზე გამოვლენილია ორ ბორცვზე განლაგებული, ერთმანეთთან ორმაგი კედლებით დაკავშირებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, ადრებიზანტიური ხანის სამნავიანი ბაზილიკა, აბანო, სამეურნეო შენობები, შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია. აკროპოლისის ჩრდილოეთით, ზღვისპირას აღმოჩენილია IV-VI სს ნაგებობები: აბანოები, ვილა, დარბაზული ეკლესია, ასევე - ქრისტიანული სამარხები და ადრეანტიკური-ელინისტური ხანის (ძვ. წ. V– II სს.) ვრცელი სამაროვანი. აკროპოლისის აღმოსავლეთით გაითხარა უძველესი ნამოსახლარი, რომელიც შეიცავდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი და I ათასწლეულის პირველი ნახევარი), ანტიკური და ადრებიზანტიური ხანის კულტურულ ფენებს.





პეტრა-ციხისძირის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსი

www.ajaraheritage.ge

info@ajaraheritage.ge

პეტრას ციხე–სიმაგრე/Petra Fortress

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო

CULTURAL HERITAGE PRESERVATION AGENCY OF AJARA




- ზონა დროებითი გამოფენებისთვის
- ზონა ისტორიული გამოფენებისთვის
- მთავარი საფეხმავლო ბილიკები
- საფეხმავლო ბილიკები
- P პარკინგი ავტობუსებისთვის
- P პარკინგი
- კაფე
- WC
- ინტერნეტი
- P ავტოსადგომი შშმ პირებისთვის
- ლიფტი შშმ პირებისთვის
- I, II, III, IV ტერასა

1. საზოგადოებრივი თავშეყრის მოედანი
2. ადმინისტრაციული შენობა და ვიზიტორთა ცენტრი
3. ავტოსადგომი ავტობუსებისთვის
4. ავტოსადგომი
5. ავტოსადგომი შშმ პირებისთვის
6. მთავარი კიბე
7. კინოსაპროექციო
8. არქეოლოგიური გამოფენა
9. არქეოლოგიური გამოფენა
10. ბიზანტიური აბანო
11. სამეურნეო ნაგებობა
12. ნაეკლესიარი
13. არქეოლოგიური ზონა
14. გადასასვლელი ხიდი
15. სამეურნეო ნაგებობა
16. გადასახედი ზღვაზე